ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

# ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5005406020
16/09/2020

5005406020

საქართველოს პროკურატურის თბილისის
პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროს
გამომძიებელს ქალბატონ თეა აფთარაშვილს

ქალბატონო თეა,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N13/01-50227 მომართვის (ბიუროს 2020 წლის 1 სექტემბრის რეგისტრაციის N1005694620) საფუძველზე, გიგზავნით კომპიუტერული ექსპერტიზის N005553320 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 20 ფურცლად;

გამოსაკვლევი მასალა დალუქული სახით 02 ფუთად;

ამოღებული ინფორმაცია ჩაწერილი 1(ერთ) ცალ დისკზე დალუქული სახით 01 ფუთად.

პატივისცემით,

გიორგი მურვანიძე
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE

5005406020

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი ____________________

თარიღი 17.09.2015 (ხელმოწერა)

NATIONAL FORENSICS BUREAU

005553320

**ექსპერტის დასკვნა № 005553320**

**გაფრთხილება**

საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

**ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი**

ექსპერტიზის სახეობა: კომპიუტერული ექსპერტიზა

**დამნიშნავი:**

სტრუქტურა: საქართველოს პროკურატურა

ქვესტრუქტურა: თბილისის პროკურატურა

დასახელება: საგამოძიებო სამმართველო

თანამდებობა: უფროსი გამომძიებელი

სახელი და გვარი: თეა აფთარაშვილი

საფუძველი: მომართვა

სისხლის სამართლის საქმის ნომერი: 036190720002

**შემსრულებელი ექსპერტები:**

გიორგი შარაბიძე / საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტის ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 10 წლის სტაჟით.

**ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები**

1. თამარ ბაჩალიაშვილის კუთვნილი „ეფლის" მარკის პორტატული კომპიუტერში და თ. ბაჩალიაშვილის ავტომანქანიდან ამოღებულ "სამსუნგი"-ს ფირმის მობილურ ტელეფონში იძებნება თუ არა ე.წ. "ჰაკერული" ტიპის პროგრამები, რომელთა გამოყენებითაც ხდებოდა აღნიშნულ ტელეფონში და ლეპტოპში არაავტორიზებული შეღწევა და ინფორმაციის წაშლა, ჩაწერა, ჩასწორება, ინსტალაცია ან/და ამ მოწყობილობებიდან ინფორმაციის არალეგალურად მოპოვება?

- დადებით შემთხვევაში, რა სახის პროგრამებია ინსტალირებული, როდის, რა საშუალებით და რა IP მისამართებიდან განხორციელდა მათი ინსტალირება, გამოყენება?

- აღნიშნული პროგრამების გამოყენებით, განხორციელდა თუ არა სხვა ტექნიკური/კომპიუტერული მოწყობილობიდან გამოსაკვლევად წარმოდგენილ მობილურ ტელეფონში და ეფლის მარკის პორტატულ კომპიუტერში უნებართვო შეღწევა და ინფორმაციის არალეგალურად მოპოვება?

- დადებით შემთხვევაში რა სახის ინფორმაცია იქნა არალეგალურად მოპოვებული (წაღებული), წაშლილი და ჩაწერილი/ჩასწორებული გამოსაკვლევად წარმოდგენილი ზემოთ დასახელებული ტელეფონიდან და ლეპტოპიდან?

2. თამარ ბაჩალიაშვილის კუთვნილი „ეფლის" მარკის პორტატული კომპიუტერში და თ. ბაჩალიაშვილის ავტომანქანიდან

ამოღებულ "სამსუნგი"-ს ფირმის მობილურ ტელეფონში იძებნება თუ არა ე.წ. "ჰაკერული" ტიპის პროგრამები, რომელთა გამოყენებითაც ხდებოდა აღნიშნულ ტელეფონიდან და ლეპტოპიდან, სხვა ტექნიკურ მოწყობილობებში (კომპიუტერში, ტელეფონში, სერვერებზე) არაავტორიზებული შეღწევა და ინფორმაციის წაშლა, ჩაწერა, ჩასწორება, ინსტალაცია ან/და ამ მოწყობილობებიდან ინფორმაციის არალეგალურად მოპოვება?

- დადებით შემთხვევაში, რა სახის პროგრამებია ინსტალირებული, როდის, რა საშუალებით და რა IP მისამართებიდან განხორციელდა მათი ინსტალირება, გამოყენება?

- აღნიშნული პროგრამების გამოყენებით ხსენებულ მოწყობილობებიდან განხორციელდა თუ არა სხვა ტექნიკურ/კომპიუტერულ მოწყობილებაში უნებართვო შეღწევა და ინფორმაციის არალეგალურად მოპოვება?

- დადებით შემთხვევაში, აღნიშული მოწყობილობებიდან უშუალოდ როდის (თარიღი, დრო), რა IP - მისამართების მქონე მოწყობილობებზე განხორციელდა შეღწევა?

**- უშუალოდ რა სახის ინფორმაცია იქნა მოპოვებული, წაშლილი ან კორექტირებული?**

გთხოვთ, საექსპერტო გამოკვლევის ფარგლებში, სრულად ამოიღოთ ზემოთ მოთხოვნილი არალეგალური შეღწევის და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

3. თამარ ბაჩალიაშვილის კუთვნილი „ეფლის“ მარკის პორტატული კომპიუტერში და თ. ბაჩალიაშვილის ავტომანქანიდან ამოღებულ "სამსუნგი"-ს ფირმის მობილურ ტელეფონში იძებნება თუ არა, ამ უკანასკნელის როგორც პროგრამისტის საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი პროგრამები და პროექტები?

დადებით შემთხვევაში, გთხოვთ ამიოღოთ პროექტები/პროგრამები და მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით განგვისაზღვროთ თ. ბაჩალიაშვილის როგორც პროგრამისტის საქმიანობის სფერო და კვალიფიკაციის ხარისხი.

**შემოსვლის თარიღი: 01/09/2020 წ** **გასვლის თარიღი: 16/09/2020 წ**

**დასკვნა**

**1. პორტატული კომპიუტერის** და **მობილური ტელეფონის** ოპერაციულ სისტემებში დაინსტალირებული პროგრამული უზრუნველყოფებს შორის არ ფიქსირდება მავნე პროგრამა (ჰაკერული ტიპის პროგრამა), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია აღნიშნულ პორტატული კომპიუტერის და მობილური ტელეფონის ოპერაციულ სისტემებში არაავტორიზებული შეღწევა და ინფორმაციის წაშლა, ჩაწერა, ჩასწორება, პროგრამების ინსტალაცია და ინფორმაციის არალეგალურად მოპოვება.

**2. პორტატული კომპიუტერის** და **მობილური ტელეფონის** ოპერაციულ სისტემებში დაინსტალირებული პროგრამული უზრუნველყოფებს შორის არ ფიქსირდება მავნე პროგრამა (ჰაკერული ტიპის პროგრამა), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია აღნიშნულ პორტატული კომპიუტერის და მობილური ტელეფონის ოპერაციულ სისტემებიდან სხვა მოწყობილობებში არაავტორიზებული შეღწევა და ინფორმაციის წაშლა, ჩაწერა, ჩასწორება, პროგრამების ინსტალაცია და ინფორმაციის არალეგალურად მოპოვება.

**3. პორტატული კომპიუტერის.** მეხსიერებაში არსებული ინფორმაციის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მასში

ფიქსირდება პროგრამირებასთან და შესაბამის პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რაც ამოღებულ და გადატანილ იქნა საქაღალდეში სახელწოდებით: „Projects" და დაარქივებულ იქნა პროგრამა „WinRar"-ის გამოყენებით ფაილად სახელწოდებით: „Projects.rar" (ზომით: „3,767,967,632" ბაიტი და SHA256 ჰეშით: „58F8BF441258E83BE3639B945BFFEF031061D77A79DE2494154529D2CE958C7E").

ფაილი გადატანილი იქნა „Verbatim" -ის წარმოების ერთ ცალ დისკზე.

პროგრამირებასთან და შესაბამის პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ისინი განეკუთვნებიან ვებ-პროგრამირების პროექტებს.

განხორციელდა თითოეული პროექტის შესწავლა და დადგინდა, რომ მათი გარკვეული ნაწილი წარმოადგენს დომეინებთან (Domain Name): „tropicalmbc.com", [redacted], „[redacted] და [redacted] დაკავშირებულ პროექტებს/მოდულებს.

პროექტებში დაფიქსირებული დომეინებისათვის ვებ-გვერდის: „https://sitereview.bluecoat.com/#/" გამოყენებით განისაზღვრა კატეგორია:

- „tropicalmbc.com" მიეკუთვნება კატეგორიას: „Technology/Internet";

[redacted] მიეკუთვნება კატეგორიას: „Pornography";

[redacted] მიეკუთვნება კატეგორიას: „Pornography";

[redacted] მიეკუთვნება კატეგორიას: „Pornography".

პროექტების გარკვეული ნაწილის, რომლებიც ინახება აღნიშნული კომპიუტერის მეხსიერებაში, კავშირი კონკრეტულ დომეინებთან არ იკვეთება, შესაბამისად განხორციელდა მათი შესწავლა ვიზუალური თვალსაზრისით და დადგინდა, რომ ისინი დაკავშირებულია: სკოლ(ებ)ის მენეჯმენტის სისტემებთან, ონლაინ-საგამოცდო სისტემებთან და ასევე დისტანციური სწავლების პორტალთან.

**პორტატული კომპიუტერის** მეხსიერებაში არსებული ინფორმაციის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მასში ფიქსირდება ვებ-პროგრამისტის საქმიანობასთან დაკავშირებული პროგრამები და შესაბამისი პროექტები. პროექტებში გამოყენებულია ვებ-პროგრამირების ტექნოლოგიები და აქედან გამომდინარე მათზე მომუშავე სპეციალისტის საქმიანობის სფერო არის ვებ-პროგრამირება.

**მობილური ტელეფონის** მეხსიერებიდან ამოღებული ინფორმაციის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მასში არ ფიქსირდება პროგრამისტის საქმიანობასთან დაკავშირებული პროგრამები და შესაბამისი პროექტები.

**პორტატული კომპიუტერის** და **მობილური ტელეფონის** მეხსიერებებში არსებული ინფორმაციის პროექტების/პროგრამების გათვალისწინებით თ. ბაჩალიაშვილის, როგორც პროგრამისტის კვალიფიკაციის ხარისხის განსაზღვრა სცილდება ბიუროს კომპიუტერული ექსპერტების კომპეტენციის ფარგლებს.

გიორგი შარაბიძე

## გამოკვლევა

გამოსაკვლევი მასალა წარმოდგენილია **02** ფუთად, რომელთაგან **ერთი** არის საქართველოს პროკურატურის პოლიეთილენის სპეციალური შესაფუთი პაკეტი, ნაბეჭდი წარწერებით. პაკეტის წინა მხარეზე, ზედა მარჯვენა კუთხეში დატანილია საქართველოს პროკურატურის ლოგო. იკითხება ნაბეჭდი ტექსტი: „საქართველოს პროკურატურა Prosecution Service of Georgia", დატანილია სერიული ნომერი "POG1903B3693". პაკეტზე ნაბეჭდი და ხელით შესრულებული წარწერებით იკითხება შემდეგი ტექსტი: „ს.ს.ს.ნ C.C.N 036190720002 საქმე ადგილი Place თბილისის პროკურატურის ადმინისტრაციული შენობა თარიღი Date 20.08.2020 დაწყების დრო Time of beginning დასრულების დრო Time of ending საგამოძიებო მოქმედების სახეობა Type of an investigative action დათვალიერება მტკიცებულების სახეობა, ოდენობა Type, amount of evidence „ეფლის" ფირმის ლეპტოპი 1ც. კვების ადაპტერით, I ც. კაბელი, სსიპ ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ორი გამოყენებული პაკეტი N201822152 და N222231477 (თ. ბაჩალიაშვილის კომპიუტერი) საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი ორგანო Authority conducting an investigative action თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველო გამომძიებელი/პროკურორი: სახელი, გვარი, თანამდებობა, ხელმოწერა Investigator/Prosecutor: Name, surname, position, signature "ხელმოწერა" მონაწილეები: სახელი, გვარი, თანამდებობა/სტატუსი, ხელმოწერა Participants: Name, surname, position/status, signature ადვოკატი „ხელმოწერა" მოწმე თეონა თამაზაშვილი „ხელმოწერა" შენიშვნა Note 20.08.20-ის დათვალიერების ოქმი გამომძ. ვ. ვაჭარაძე. 15.08.20-ის N004727520 ექსპერტიზის დასკვნის დანართი". აღნიშნული ფუთა დაინომრა **N1** ფუთად.

**მეორე** არის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნივთმტკიცებების დასალუქი სპეციალური პოლიეთილენის პაკეტი N0004133. აღნიშნული ფუთა დაინომრა **N2** ფუთად.

**N1** ფუთის გახსნისას, მასში აღმოჩნდა: გახსნილი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნივთმტკიცებების დასალუქი სპეციალური პოლიეთილენის პაკეტები: 201822152 და 222231477, 1(ერთი) ცალი „Apple"-ის წარმოების პორტატული კომპიუტერი: „MacBook Pro A1706" სერიული ნომრით: „C02TP2LWHV2N", რომელშიც თავის მხრივ მოთავსებული იყო 1(ერთი) ცალი მეხსიერების ბარათი: „APPLE SSD AP0256J S/N: C02719600J9HRNW1Z", 1(ერთი) ცალი კვების ადაპტერი და 1(ერთი) ცალი კაბელი.

**შენიშვნა:** პორტატული კომპიუტერი ფუთის გახსნის მომენტში იმყოფებოდა ჩართულ მდგომარეობაში.

**N2** ფუთის გახსნისას, მასში აღმოჩნდა: გახსნილი საქართველოს შსს-ს პოლიეთილენის სპეციალური შესაფუთი პაკეტები: FCI565589 და FCD1186999 და თეთრი ფერის მუყაოს კონვერტში წარწერით: „მობილური ტელეფონი" მოთავსებული 1(ერთი) ცალი „Samsung"-ის წარმოების მობილური ტელეფონი მოდელი: „SM-G950F" IMEI კოდით: „352802/10/026939/1", რომელშიც თავის მხრივ მოთავსებული იყო 1(ერთი) ცალი სიმბრათი ნომრით: „8999597281045848587".

ასევე წარმოდგენილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის ჯემალ კოპალიანის 2020 წლის 01 სექტემბრის N14174 განჩინება ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე - 05 ფურცლად.

ექსპერტიზის წინაშე დასმული საკითხების გადასაწყვეტად განხორციელდა პორტატული კომპიუტერის და მობილური ტელეფონის გამოკვლევა.

მომზადდა პორტატული კომპიუტერის მეხსიერების საექსპერტო ასლი. ასევე დადგინდა, რომ ტელეფონის მეხსიერებაზე წვდომისათვის საჭიროა უსაფრთხოების კოდი. ბიუროს ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებების და პროგრამული უზრუნველყოფების გამოყენებით განხორციელდა მეხსიერებაზე წვდომა და სხვადასხვა საექსპერტო მეთოდების გამოყენებით მოხდა ტელეფონის მეხსერებაში არსებული ინფორმაციის ამოღება.

**პორტატული კომპიუტერის** და **მობილური ტელეფონის** ოპერაციულ სისტემებში დაინსტალირებული პროგრამული უზრუნველყოფების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მათ შორის არ ფიქსირდება მავნე პროგრამა (ჰაკერული ტიპის პროგრამა), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია აღნიშნულ პორტატული კომპიუტერის და მობილური ტელეფონის ოპერაციულ სისტემებში არაავტორიზებული შეღწევა და ინფორმაციის წაშლა, ჩაწერა, ჩასწორება, პროგრამების ინსტალაცია და ინფორმაციის არალეგალურად მოპოვება. ასევე მათ შორის არ ფიქსირდება მავნე პროგრამა (ჰაკერული ტიპის პროგრამა), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია აღნიშნულ პორტატული კომპიუტერის და მობილური ტელეფონის ოპერაციულ სისტემებიდან სხვა მოწყობილობებში არაავტორიზებული შეღწევა და ინფორმაციის წაშლა, ჩაწერა, ჩასწორება, პროგრამების ინსტალაცია და ინფორმაციის არალეგალურად მოპოვება.

**პორტატული კომპიუტერის** მეხსიერებაში არსებული ინფორმაციის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მასში ფიქსირდება პროგრამირებასთან და შესაბამის პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რაც ამოღებულ და გადატანილ იქნა საქაღალდეში სახელწოდებით: „Projects" და დაარქივებულ იქნა პროგრამა „WinRar"-ის გამოყენებით ფაილად სახელწოდებით: „Projects.rar" (ზომით: „3,767,967,632" ბაიტი და SHA256 ჰეშით: „58F8BF441258E83BE3639B945BFFEF031061D77A79DE2494154529D2CE958C7E").

ფაილი გადატანილი იქნა „Verbatim"-ის წარმოების ერთ ცალ დისკზე.

პროგრამირებასთან და შესაბამის პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ისინი განეკუთვნებიან ვებ-პროგრამირების პროექტებს.

განხორციელდა თითოეული პროექტის შესწავლა და დადგინდა, რომ მათი გარკვეული ნაწილი წარმოადგენს დომეინებთან (Domain Name): „tropicalmbc.com", [redacted], [redacted] და [redacted] დაკავშირებულ პროექტებს/მოდულებს.

პროექტებში დაფიქსირებული დომეინებისათვის ვებ-გვერდის: „https://sitereview.bluecoat.com/#/" გამოყენებით განისაზღვრა კატეგორია:

- „tropicalmbc.com" მიეკუთვნება კატეგორიას: „Technology/Internet";

[redacted] მიეკუთვნება კატეგორიას: „Pornography";

[redacted] მიეკუთვნება კატეგორიას: „Pornography";

[redacted] მიეკუთვნება კატეგორიას: „Pornography".

**პროექტების გარკვეული ნაწილის, რომლებიც ინახება აღნიშნული კომპიუტერის მეხსიერებაში, კავშირი კონკრეტულ**

დომეინებთან არ იკვეთება, შესაბამისად განხორციელდა მათი შესწავლა ვიზუალური თვალსაზრისით და დადგინდა, რომ ისინი დაკავშირებულია: სკოლ(ებ)ის მენეჯმენტის სისტემებთან, ონლაინ-საგამოცდო სისტემებთან და ასევე დისტანციური სწავლების პორტალთან.

**პორტატული კომპიუტერის** მეხსიერებაში არსებული ინფორმაციის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მასში ფიქსირდება ვებ-პროგრამისტის საქმიანობასთან დაკავშირებული პროგრამები და შესაბამისი პროექტები. პროექტებში გამოყენებულია ვებ-პროგრამირების ტექნოლოგიები და აქედან გამომდინარე მათზე მომუშავე სპეციალისტის საქმიანობის სფერო არის ვებ-პროგრამირება.

**მობილური ტელეფონის** მეხსიერებიდან ამოღებული ინფორმაციის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მასში არ ფიქსირდება პროგრამისტის საქმიანობასთან დაკავშირებული პროგრამები და შესაბამისი პროექტები.

გამოსაკვლევად წარმოდგენილი მასალები დაილუქა 02 ფუთად, ხოლო ამოღებული ინფორმაცია გადატანილი იქნა „Verbatim"-ის წარმოების ერთ ცალ დისკზე და დაილუქა 01 ფუთად.

**გიორგი შარაბიძე**

**ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: როლანდ მახმუდოვი**

**ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: როლანდ მახმუდოვი**

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1




ფოტო 2


Please fill in the form completely until placing the object in the package

ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5




ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9




ფოტო 10



ფოტო 11




ფოტო 12



ფოტო 13




ფოტო 14



ფოტო 15




ფოტო 16




ფოტო 17




ფოტო 18



ფოტო 19



ფოტო 20




ფოტო 21




ფოტო 22



ფოტო 23



ფოტო 24



ფოტო 25



ფოტო 26



ფოტო 27

დოკუმენტის ნომერი: 005553320

დოკუმენტის გასვლის თარიღი და დრო: 17/09/2020 10:04

**თბილისი**

## დოკუმენტის გასვლის ბარათი

**სსიპ ლევან სამხარაული სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროდან გაცემულ იქნა 005553320 დასკვნა სისხლის_სამართლის N036190720002 საქმეზე.**

**დოკუმენტის წამღები: გუჯა კვარაცხელია, პირადი ნომერი: 51001009999, ტელ. ნომერი: 599081591**

ბ.ტშ

---

დოკუმენტის რეგისტრაციისას მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე რეგისტრაციის დასრულების შემდეგ მიიღებთ უფასო SMS შეტყობინებას, რომელშიც მითითებული იქნება დოკუმენტის რეგისტრაციის თარიღი და ნომერი. ასევე ამავე ნომერზე მიიღებთ შეტყობინებას დოკუმენტის წარმოების შესახებ.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით ჩვენს ცხელ ხაზს ტელეფონის ნომერზე: **(+995 32) 225 84 84.**

სსიპ ლევან სამხარაული სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს თანამშრომელთა მხრიდან ნებისმიერი უკანონო ქმედების ჩადენის შემთხვევაში დაუკავშირდით ბიუროს შიდა აუდიტისა და ინსპექტირების დეპარტამენტს:
ტელეფონი: **(+995) 577 25 84 84** ელ. ფოსტა: **audit@expertiza.gov.ge**

## სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პარტნიორი ორგანიზაციები:

### ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამა (INL Program):

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო წლების მანძილზე აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდაცვით პროგრამასთან (INL Program).

INL- ის დახმარებით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ბიუროს ცენტრალურ ოფისს, სრულად აღიჭურვა ბიუროს დნმ ლაბორატორია და სხვადასხვა ლაბორატორიებისათვის შეძენილ იქნა საჭირო უახლესი აპარატურა. INL –ის ორგანიზებით მუდმივად ხდება ბიუროს ექსპერტების დატრენინგება ექსპერტიზის თანამედროვე მეთოდების შესწავლის მიზნით.

INL-ი ასევე ბიუროს აქტიურად უწევს კონსულტაციას ხარისხის მართვის პროცედურების შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ISO:17025 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების დანერგვას.

### სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელი (ENFSI):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ლაბორატორიები გაწევრიანებული არიან სასამართლო ექსპერტიზის დაწესებულებათა ევროპული ქსელის (ENFSI) სამუშაო ჯგუფებში:

- დნმ-ის სამუშაო ჯგუფი (DNA Working Group)
- ნარკოტიკების სამუშაო ჯგუფი (Drugs Working Group)
- მინისა და ლაქ-საღებავების სამუშაო ჯგუფი (Paint and Glass Working Group)

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გაწევრიანებული ლაბორატორიები აქტიურად მონაწილეობენ ENFSI–ის სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე და ლაბორატორიების საკვალიფიკაციო ტესტირებაში.

### ჰოლანდიური საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია - ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“:

„გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ ფონდის დახმარებით დაპროექტდა და აღიჭურვა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ახალი შენობა.

ასევე ფონდის დახმარებით ბიუროს ექსპერტთათვის პერიოდულად ტარდება სასემინარო სწავლებები სასამართლო ფსიქიატრიის აქტუალური საკითხების სფეროში.

### თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭო (Adli Tip Kurumu):

ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარეობს სამეცნიერო თანამშრომლობა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს შორის, რომლის მიზანია განავითაროს კვლევები სასამართლო ექსპერტიზის სფეროში, განახორციელოს ინფორმაციის, იდეებისა და ცოდნის გაცვლა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და თურქეთის სასამართლო მედიცინის საბჭოს ლაბორატორიებს შორის.

### სახელმწიფო ექსპერტიზის ბიურო - ლატვია (State Forensic Science Bureau):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ლატვიის სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროსთან მინის, ლაქ-საღებავებისა და ბოჭკოების ექსპერტიზის მიმართულებით. თანამშრომლობა ითვალისწინებს კვლევის თანამედროვე მეთოდებზე ინფორმაციისა და ლიტერატურის გაზიარებას და სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას.

### ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (IAEA):

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო თანამშრომლობს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან, რომელიც უზრუნველყოფს ბიუროს ექსპერტების გადამზადებას გარემოს რადიაციული მონიტორინგის საკითხებში. სწავლება მიმდინარეობს შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.